აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2020 წლის 6 მარტი

აბაშა

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.110.016151) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის ,,ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება.".

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა კვიტაშვილი**